ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00003423

05/02/2026

ვეტერანებისა და მათი შვილების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

აღნშნულის გათვალისწინებითა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა", ,,ი" და ,,რ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში, იმ ვეტერანებისა და მათ შვილებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და 2025-2026 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების მიღების მიზნით განცხადებები წარმოადგინეს 2025 წლის 25 აგვისტოდან 2025 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური დაუფინანსდეთ მათი მიმდინარე დავალიანების შესაბამისად, მაგრამ ჯამურად ორივე სემესტრში არაუმეტეს 1125 (ათას ასოცდახუთი) ლარის ოდენობით.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე